ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 211

"14" აგვისტო 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №20.862.1060 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი №13-ში პირველ სართულზე მდებარე ბინა №102, ფართით 36.57 კვ.მ. (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.002.01.102) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ციალა ქართველიშვილისთვის (პ/ნ: 01028008192) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულებ, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე